საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA

1662-02-2-201505011130

N 02/1662
01/05/2015

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტ... № 110
თარიღი: 04 05 2015 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციას

თქვენი, მიმდინარე წლის 17 აპრილის #153 წერილის პასუხად გაცნობეთ, რომ კახეთის რეგიონში გაზიფიცირების სამუშაოებს ახორციელებს რამოდენიმე სადისტრიბუციო კომპანია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოები 90-იანი წლებიდან მიმდინარეობდა, მოსახლეობა ბუნებრივ აირს იღებდა პატარძეულის ნავთობისა და გაზის საბადოდან. მასშტაბური გაზიფიცირების სამუშაოები კი 2010 წელს დაიწყო. 2013-2014 წლებში დამატებით 20,349 აბონენტს საშუალება მიეცა ჩართულიყო ბუნებრივი აირის ქსელში. ამასთან 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონში 62,040 აბონენტს აქვს ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის საშუალება. 2015 წლისათვის შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" კახეთის რეგიონში ახორციელებს გაზიფიცირების სამუშაოებს, შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - დამატებით მოხდება 2250 აბონენტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - 2848 აბონენტის, ახმეტის მუნიციპალიტეტში 2500 კი აბონენტის გაზიფიცირება. ასევე გაცნობებთ რომ „გაზის ტრანსპორტირების კომპანია" სამუშაოებს ასრულებს სახელმწიფო დაფინანსების შესაბამისად. სამუშაოები გაგრძელდება მომავალი წლების დაფინანსების შესაბამისად. კომპანია „სოკარის" მიერ ეკონომიკის სამინისტროსთან 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება საქართველოს რეგიონებში განახორციელოს გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები და 2017 წლის ბოლომდე 250 000 აბონენტს მისცეს საშუალება ჩაერთოს ბუნებრივი აირის ქსელში.

პატივისცემით,
მარიამ ვალიშვილი

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველო, თბილისი 0105, სანაპიროს ქ.2; ტელ.: 235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge

საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

1672-02-2-201505011151

N 02/1672
01/05/2015

საქართველოს რეფორმების ასოციაციას

თქვენი, მიმდინარე წლის 17 აპრილის #154 წერილის პასუხად გაცნობეთ, რომ ქ. ხონის გაზიფიცირება დაიწყო 2014 წელს. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქ. ხონში 4,260 აბონენტს აქვს ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის საშუალება, ამასთან 2015 წელს „საქართველოს გაზის ტრასპორტირების" კომპანია ახორციელებს გაზიფიცირების სამუშაოებს რის შემდეგაც, ქ. ხონში დამატებით 4273 აბონენტს საშუალება მიეცემა ჩაერთოს ბუნებრივი აირის ქსელში. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში სულ 962,028 აბონენტს აქვს ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა, ამასთან მხოლოდ 2014 წელს დამატებით 45,724 აბონენტს მიეცა ქსელში ჩართვის საშუალება გაზგამანაწილებელ ქსელს კი დაემატა 1,181.51 კმ სიგრძის გაზსადენი.

საქართველოს რეგიონების ფართომასშტაბიანი გაზიფიცირების პროცესი დაიწყო კომპანია „სოკარის" მიერ ეკონომიკის სამინისტროსთან 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ. აღნიშნული ხელშეკრულებით კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება საქართველოს რეგიონებში განახორციელოს გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები და 2017 წლის ბოლომდე 250 000 აბონენტს მისცეს საშუალება ჩაერთოს ბუნებრივი აირის ქსელში. დღეის მდგომარეობით კომპანია „სოკარ-ჯორჯია გაზს" აშენებული აქვს 7000 კმ-ზე მეტი ბუნებრივი აირის ქსელი. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ „საქართველოს გაზის ტრასპორტირების" კომპანიისათვის 2014 წელს, საქართველოს რეგიონებში გაზიფიცირების სამუშაოებისათვის გამოყოფილი იქნა 20 მლნ ლარი. აღნიშნული თანხით აშენდა 760 კმ სიგრძის გაზსადენი. გარდა ამისა, „საქართველოს გაზის ტრასპორტირების" კომპანიის მიერ საკუთარი ხარჯებით აშენებული იქნა 277 კმ. სიგრძის გაზსადენი. 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ „საქართველოს გაზის ტრასპორტირების" კომპანიისათვის გაზიფიცირების სამუშაოებზე ასევე გამოყოფილია 20 მლნ.ლარი.

პატივისცემით,
მარიამ ვალიშვილი

საქართველო.თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2: ტელ.:235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge